საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.
რაიონის გარეშე 60 კაპ.

№ 375 1918 წ. სამშაბათი ნოემბრის 5. № 375

ბუდაპეშტში მოჰკლეს გრაფი ტისსა. მოკავშირეებს პარიზში შეუმუშავებიათ ზავის პირობები: გერმანიამ ელზას-ლოტარინგია დასცალოს, სამხედრო ფლოტი მოკავშირეებს გადასცეს, ჰელ-ჰოლანდს ინგლისი დაიჭერსო. ავსტრიაში არეულობაა. მთავრობის დადგენილებით ჩვენი რკინის გზა და ფოთის ნავთსადგური ცხადდება სამხედრო წესსზე მყოფად. დღეს საქ. პარლამენტის სხდომაა.

ღრმად დამწუხრებულნი უბედური დედ-მამა ილია ანდრიას ძე მგალობლიშვილი და გულდამწვარი შავიძძით მოსილი ვარდო მგალობლიშვილისა, ძმები დამკარგველი უსაყვარლესი დისა კეკულია და ვალიკო მგალობლიშვილები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს პირველის უსაყვარლესი შვილისას და მეორესი დაუვიწყარი დის ქალთა მეორე გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფის

ვერიჩკას

გარდაცვალებას. დასაფლავება ნოემბრის ექვსს შუადღის ორ საათზე წმინდა ნინოს სასაფლაოზე ადრესი მალაკნის ქუჩა, № 29 2301

ერასტი ივანეს ძე ჭავჭანიძე შვილებითურთ მიხეილ და კონსტანტინე (კოკი) და ელისაბედ იოსების ასული კოპაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი პირველისა მეუღლე, მეორეთა დედა და მესამესი შვილი

ნინო გრიგოლის ასული ჭავჭანიძისა

პანაშვიდები ყოველ დღე 6 ნახ. საათზე გამოსვენება ხუთშაბათს, ნოემბრის 7-ს დილის 10 საათზე საკუთარის სახლიდან მიხეილის ქუჩა, № 36 ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 3207

გულდამწვარნი: მეუღლე დარიკო გრიგოლის ასული ნიკოლაიშვილისა ძმები ევაკი, ლუკა, თეოდე ონისიმეს ძენი ნიკოლაიშვილები, ბიძა პარმენ ალმასხანის ძე ნიკოლაიშვილი, სიმმრიშვილი პავლე გიგის ძე წითურიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობით რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

რაჟდენ ონისიმეს ძე ნიკოლაიშვილი.

2305

ისიდორე სოფრომის ძე ვარაზაშვილი და სიმამრი მისი დეკანოზი იოსებ ნიკოლოზის ძე წერეთელი მეუღლითურთ ულრმეს მადლობას უძღვნიან ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, ვინც ინება პირისუფალთა ნუგეშისცემა ან პირადად ან წერილობით მათი დაუვიწყარი

ვერა ვარაზაშვილის

გარდაცვალების გამო. 1317

ღრმად დამწუხრებულნი მამა ილიკო, დედა ელისაბედი, ძმა ვლადიმერ, ბიძა პავლე კახიანები და და ძაძუ მარგველაშვილისა ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა საყვარელი დაუვიწყარი

აკაკი ილიას ძე კახიანი

რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღე არის დანიშნული ამა თვის ოქტომბრის 23. (ძველი სტ.) სამშაბათს. ნაშუადღევის 2 საათზე გთხოვთ მობრძანდეთ და ანუგეშოთ მწუხარებასა შინა მყოფი ოჯახი მისი სოფ. ჯიქოუბანში. 2303

ღრმად დამწუხრებულნი ექიმი ალექსანდრე დიმიტრის ძე შალიგინი და მარიამ ლევანის ასული შალიგინი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროოდ მიიცვალნენ პირველის მეუღლე და შვილი, ხოლო მეორესი რძალი და შვილიშვილი

ოლღა იონას ასული შალიგინი და მისი პატარა ქალი

დაკრძალვა მოხდება ნოემბრის 5-ს, ქ. სურამში. 2309

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები დარია იოთამის ასული და გიორგი შერმაზანის ძე, მეუღლე ბარბარე ჩერქეზიშვილები და ნატალია გიორგის ასული და სიძე პეტრე კონსტანტინეს ძე თეთრაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

ნიკოლოზ გიორგის ძე ჩერქეზიშვილი

გამოსვენება მოხდება ბინიდან (ყიფიანის ქ. № 9). ნოემბრის 5 დილის 10 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2308

დეიდა ნინო ლევანის ასული და სიძე დომენტი ივანეს ძე, დეიდაშვილები ელენე და ლიზიკო ბარნაბიშვილები და დეიდაშვილი ვასილ იაკობის ძე სვანიძე, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი

ნიკოლოზ გიორგის ძე ჩერქეზიშვილი

გამოსვენება მოხდება სამშაბათს ნოემბრის 5-ს დილის 10 საათზე ბინიდან (ყიფიანის ქ. № 9). ქვაშვეთის ეკლესიაში დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2308

ახლად ჯარში გაწვეულ ახალგაზრდათა საყურადღებოდ.

საინჟინერო-სატეხნიკო სექციის უფროსი ამით აცხადებს, რომ არსებულ რადიო ტელეგრაფის შესასწავლად საჭირონი არიან ახალგაზრდა ჯარის კაცნი საშუალო ტეხნიკურის განათლებით. მსურველთ ევალებათ მიმართონ საინჟინერო სატეხნიკო სექციას, რომელიც იმყოფება ტფილისში სასახლის ქუჩაზედ ყოფილ მთავარი შტაბის შენობაში მეოთხე სართულზედ ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა.

381 სამხედრო ინჟინერი პოლკოვნიკი თაყაიშვილი.

1918—19 წლის საოპერო სეზონი **საზაფხულო თეატრი** დირექცია ნ. ლ. ლევიცკის

ოთხშაბათს, ნოემბრის 5-ს,

ოპერა

ოპრა 3 მოქმ. და 7 სურათად მუს. ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ შვამბერგი ტ. ა. იანსა მ. ა. მოროზოვისა კ. ა. ზალიპსკი ბ. ი. ვრონსკი ე. ა. ისეცკი დ. ნ. „ევგენი ონეგინი“.

ფასები ძლიერ დაკლებულია. დასაწყისი 8 საათზე.

ოთხშაბათს, ნოემბრის 6-ს, 1918 წ. ტ. ს. ორდას მონაწილეობით: 1) „პაიანცი“ 2) ბალეტი, ქორწინება მალოროსიაში.

1397 ოპერის წარმომადგენელი ხ. ი. ევლახოვი.

კასა ღიაა 10—2 ს., საღამოს 6 ს. სპექტაკლის გათავებამდე.

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

სამშაბათს, 1918 წ. ნოემბრის 5-ს გაიმართება

ექსტრა-ორდინალური სამ განყოფილებიანი

წარმოდგენა პირველ ხარისხოვანი საცირკო პროგრამით. დღეს, ყველაფერი ახალი და ორიგინალურია. მონაწილეობენ ხალხის საყვარელი მარიამ ტ ანტონ ზინკოვსკები სამი ეშმაკი. კლოუნ-მასხარა და ცხოველების მწრთვნელი გ. ფლერენსი. მოლაპარაკე ძაღლი მაიმატიკი.

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 2310

ი. გრიშაშვილი

იყიდება „სახალხო საქმის“ რედაქციაში, წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში და კიკნაძის სავაჭროში.

1386

განცხადება

ფოთის ქალაქის გამგეობა იწვევს მსურველთ, იკისრონ ფოთის ქალაქის ტყეში, ხუთასი საჟენი, სამი არშინიანი, შეშის დამზადება და ქ. ფოთში ჩამოტანა, ნაწილ-ნაწილად, არა უგვიანეს 1919 წლის პირველი თებერვალისა, შეშის დამზადება გაიცემა ნაწილ-ნაწილადაც. შეშა იქნება მაგარი და რბილი ჯიშისა. მსურველმა უნდა წარმოადგინოს განცხადება, ამა წლის 15 ნოემბრამდი, იმაზე თუ რამდენი შეშის მოჭრა-ჩამოტანას კისრულობს, რა ფასათ და რა ვადით. განცხადებასთან უნდა წარმოდგენილ იქნას პირობის უზრუნველსაყოფად, საწინდარი, ნაღდ ფულად. 10% იმ თანხისა, რასაც ადგენს შეშის მოჭრა-მოტანის ფასი. დაწვრილებითი პირობების განხილვა შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე.

1393 ფოთის ქალაქის გამგეობა.

[illegible] **ქართული**

ლატარია 5,000,000 მან.

ქართული უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოდ

პირველი მოგება 100,000 მანეთია.

ბილეთები იყიდება ყველგან, საცა კი გამოცხადებულია.

ტფილისი, ნოემბერი 5.

საქართველო და სოციალისტური ინტერნაციონალი

ნოემბრის 3-ს ადგილობრივ გაზეთებში დაიბეჭდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მემორანდუმი, რომელიც უკვე გადაეცა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს. ამ წერილს მრავალ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც კერძოდ საქართველოს სოციალისტურ შემოქმედებისათვის, ისე საქართველოს, როგორც სახელმწიფოს კეთილ-დღეობისათვის. ევროპიულ აზიის პაწია კულტურული ქვეყანა კულტურის პირველ-ყოფილ საფეხურიდანვე ენათესავებოდა ევროპიულ ცივილიზაციას და მაშინაც ევროპისაკენ იცქირებოდა, როცა თანამედროვე სახის სოციალისტური მოძრაობა არ არსებობდა. ქართველ ერის ყველა ნაწილის ნიშანდობლივ თვისებას შეადგენდა ცივილიზაციისა და კულტურისაკენ შეუჩერებელი სრბოლა და ეს ეროვნული თვისება ქართველობისა სისხლსა და ძვალში გაუჯდა ქართველ დემოკრატიას თუმცა ამ ხაკადის ამოფხვრას საუკუნოების განმავლობაში ცდილობდნენ სპარსელები, ოსმალოები და რუსების იმპერიალისტები.

დღეს ქართველი სოციალ დემოკრატები ისევე მძლავრად აწარმოებენ ევროპასთან კულტურულ კავშირის საქმეს, როგორც ჩვენი არა სოციალ-დემოკრატ-წინაპრები. უმთავრესად ამ ეროვნულ სპეციფიურ ხასიათით უნდა ავხსნათ, რომ ეს თვისებები ქართველმა დემოკრატიამ არ დაივიწყა არც რევოლიუციის დღესასწაულის დროს, არც ბოლშევიზმის და არც ოსმალთა ჯარების შემოსევის დროს. გადაარჩენს ჩვენს კულტურულ ქვეყანას ჩვენს ხალხში მძლავრად გამჯდარი ეს თვისება თუ არა — ეს მომავლის საკითხია, უნდა აღინუსხოს მხოლოდ შემდეგი: საუკუნოების განმავლობაში მრავალ სახელმწიფოსთან ჰქონდა საქართველოს დამოკიდებულობა, მაგრამ არც ერთხელ ჩვენი სახელმწიფო არ ყოფილა სიტყვის გამტეხი, მოღალატე, გაიძვერა და გულწრფელობას მოკლებული. ქართველ ხალხს ყოველთვის ჰქონდა თავისი დროშა და ეს დროშა მეგობართან დარჩენილა უკანასკნელ წუთამდე, ვიდრე ცოცხალი ყოფილა თუნდაც ერთი ქართველი. დღესაც, როცა საქართველოს პოლიტიკა ძალაუნებურად არის ამავე დროს სოციალ დემოკრატიული პოლიტიკა, ჩვენ იმავე სურათს ვხედავთ: ჩვენი ქვეყანა ნაციონალურ პრინციპიდან მიდიოდა ინტერნაციონალისაკენ და გამოცხადებული მემორანდუმიც ამის უტყუარი ნიშანია. თუ ყოველ გარემოებაში ქართველობა ყოველთვის ატარებდა ნაცად და გარკვეულ ეროვნულ გრძნობას, მას ამავე დროს ახასიათებდა მეორე თვისებაც: საქართველო ყოველთვის ცდილობდა თავი ამოეყო კულტურულ ოჯახში და ეს ალლო თუ ერისათვის დანაშაულობად იქნება ჩათვლილი, მაშინ მთელი ქართველი ერი როგორც ერთი კაცი პასუხს აგებს დანაშაულობისათვის. დიახ, ქართველი ერი საუკუნოების განმავლობაში ებრძოდა ველურობას და როცა ის სუსტდებოდა უმეცრების ბრბოებთან ბრძოლაში საქართველო ყოველთვის ისევ კულტურულ მოძმეებს დაეძებდა, რომელნიც პატიოსნად შეაძლებინებდენ ქართველობას ისტორიულ ეროვნულ მისიის შესრულებას.

ეხლაც საქართველო უკულტურო ბრბოებთან ბრძოლაშია გახვეული. ანარქია, ბოლშევიზმი, ეროვნული შუღლი და ხოცვა-ჟლეტა — აი თანამედროვე ფორმა უკულტურობებისა და ამ საშინელ მოვლენას მთელი ქართველობა ებრძვის გამალებით. ისე მძლავრია უკულტურო ერების ტალღა, რომ საქართველოს არ შეუძლიან მარტო დარჩეს ბრძოლის ველზე და ყველა ერს გაუნათოს ისტორიის გზა. როგორც მუდამ, ისე ეხლაც საქართველო კულტურულ ოჯახს დაეძებს და ეს ოჯახი მას მიაჩნია არა გამარჯვებით დამთვრალი იმპერიალისტური სახელმწიფოები, არამედ ომით დანგრეული, მაგრამ უმწიკვლო და პატიოსანი ასოციაცია მუშებისა, რომელსაც ინტერნაციონალი ეწოდება. საქართველოს დემოკრატია დიპლომატიურ მემორანდუმებს კი არ ეწაფება საეჭვო ხასიათის ქსელის გასაბმელად, ის თავის სიტყვას, პატიოსან სიტყვას აძლევს სოციალისტურ ინტერნაციონალს და მიუხედავად იმისა, რომ ეს ინტერნაციონალი უძლურია, ამას მაინც ეუბნება: პატიოსან უძლურებთან პატიოსანი საქართველო მოდის და სიტყვას სდებს სამარადისოდ იბრძვის საქართველოსთვის, კულტურისთვის, სოციალიზმისთვის, ასეთია საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მემორანდუმი ინტერნაციონალ. ბიუროსადმი. ამ მემორანდუმში გამოსახულია პოლიტიკა ქართველობისა დღეს, ამ განცხადებით საქართველო ბედის ინტერნაციონალში, როგორც სრულუფლოვანი წევრი სოციალისტურ ასოციაციისა. აქაც ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ რაც საჭიროა. საქართველოს არავისთვის არ უღალატნია არასოდეს და არც ეხლა, არც ამიერიდან საქართველო არ უღალატებს ინტერნაციონალს.

ერთი შენიშვნა: მემორანდუმი დაწერილია **საქართველოს** სოციალ-დემოკრატიის სახელით. ესეც ალ-

სანიშნავი ფაქტია. კარგი იქნებოდა, რომ ასეთი მიმართვა ყოფილიყო არა მარტო სოციალ-დემოკრა-არამედ საქართველოს ყველა სოციალისტურ პარტიათა სახელით, რადგან არსებითად იგი გამომხატველია ყველა სოციალისტების აზრის და გეზისა. ეს უფრო მეტს მნიშვნელობას მიანიჭებდა ამ ისედაც დიდად ყურადსაღებ დოკუმენტს.

სოციალ-დემოკრატების წერილი

გაზეთ ,,ერთობის'' და რუსულ ,,ბორბას“ კვირის ნომერში დაბეჭდილია ვრცელი წერილი საქართველოს სოცალ-დემოკრატიისა ინტერნაციონალურ ბიუროსადმი. წერილი ფრიად ყურადსაღებია. დაწვრილებით არის აღნუსხული ყველაფერი ის, რაც წინ უძღოდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. მოკლედ დახასიათებულია საერთო ჩვენი მდგომარეობა და აუცილებლობა ქართველებისათვის დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა. შემდეგ წერილი ეხება ჩვენი რესპუბლიკის მტრებს.

საკუთარ ფეხზე დამდგარი ჩვენი ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკა სამი უმთავრესი ძალის ველური შურისძიების საგანს შეადგენს დღესაც ეს ძალები მის საზღვრებთან დგანან და მზად არიან ცეცხლითა და მახვილით თავს დაესხან ჩვენს ქვეყანას.

„ჩვენზე თავდასასხმელად ყოველ დღე მზადაა ოსმალეთი, რომლის უღლისაგან გერმანიის ჩარევამ დაგვიხსნა.

მზად არიან ჩვენს რესპუბლიკის საზღვრებში შემოსაჭრელად ბოლშევიკები, რომელთათვის საქართველოს რესპუბლიკა საძულველი შეიქმნა იმიტომ, რომ ეს ერთად-ერთი კუთხე დარჩა ყოფილი რუსეთიდან, რომელმაც არ სცნო მათი მთავრობა, რომელმაც ბოლომდე შეინარჩუნა ერთგულება თებერვლის რევოლუციის ნაანდერძევ ლოზუნგებისა. არა ნაკლები მძულვარებით გვიცქერიან რუსეთის კონტრ-რევოლიუციონური ძალები, რომლებიც რუსეთის მიწა-წყალთა შეკრების სახელით ამზადებენ ნიადაგს მეფის დესპოტიზმის აღსადგენად. მათ სძულთ საქართველო, როგორც თავისუფლების ქვეყანა, რომელსაც სოციალისტები განაგებენ.

ოსმალეთი, ბალშევიზმი, რუსეთის კონტრ-რევოლიუცია,—თითოეული ამ ძალთაგანი, თუ კი საქართველოზე გაიმარჯვა, მოუტანს მას მონობას, დანგრევას, დაღუპვას.

ჩვენ კვლავ ცეცხლის ალის წრეში ვართ მომწყვდეული, როგორც ამ 120 წლის წინეთ ვიყავით.

ერთად ერთი გამოსავალი გზა ამ წრიდან, ერთად ერთი საფარველი ჩვენთვის ყველა ამ საშიშრობის წინააღმდეგ— მუშათა ინტერნაციონალია.

თქვენ, ინტერნაციონალის წარმომადგენელთ, მოგმართავთ საქართველოს პროლეტარიატის და ქართველი ხალხის სახელით.

რევოლიუციის ქურქში გამოსჭედა ჩვენმა ხალხმა თავისი სახელმწიფო და მან გადასწყვიტა ბოლომდე მთელი თავისი ძალ-ღონით დაიცვას ამ დემოკრატიულ სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. ამაში ჰხედავს ის ერთად ერთ საშუალებას თავის არსებობის შენარჩუნებისა და კულტურული განვითარებისა.

ისახავს მიზნათ თავისუფლებას და მუდმივ მშვიდობიანობას თავის შინაურ და გარეშე პოლიტიკაში. ჩვენი ხალხი მოგმართავთ თქვენ, მთელი ქვეყნის პროლეტარიატის წარმომადგენელთ: ის მოწადინებულია ხელი-ხელ ჩაკიდებული იმუშაოს სხვა ერებთან ერთად სამართლიანობის უკვდავი იდეალების ხორცშესასხმელად. თქვენგან ის მოელის მხარის დაჭერას და შველას,—თავისი დამოუკიდებლობის დადასტურებას და მუდმივი ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფას“.

წერილის დედანს ხელს აწერენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობით: ნ. ჟორდანია, ნ. ჩხეიძე, ირ. წერეთელი, ევგ. გეგეჭკორი და ნ. რამიშვილი.

საქართველოს პარლამენტი

შაბათი, ნოემბრის 2.

წარსულ კრებაზე წაკითხულ და მიღებულ იქმნა მხოლოდ სამი მუხლი დამფუძნებელი კრების დებულებისა. დანარჩენ 107 მუხლს იხილავს პარლამენტი დღეს.

საკამათო მხოლოდ ორი-სამი მუხლი აღმოჩნდა კამათი სწარმოებს, უმთავრესად მეხუთე მუხლის იმ ნაწილის გარშემო, რომელიც ადმინისტრაციის საარჩევნო უფლებას ეხება. ყველა ფრაქცია გარდა სოციალ-დემოკრატებისა, იცავს და ასაბუთებს იმ მოსაზრებას. რომ შეუძლებელია ადმინისტრაცია-მილიციამ მონაწილეობა მიიღოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში. დემოკრატიზმის პრინციპი მოითხოვს იმას—ამბობს ს.-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით შ. ნუცუბიძე—რომ არჩევნებში სავსებით იქმნეს გამოხატული ხალხის ნების-ყოფა; და თუ წესიერების დამცველ მილიციას და ადმინისტრაციას აქტიური ან პასიური უფლება მიეცა არჩევნებში, შეუძლებელია აქ ადგილი არ ექმნეს ძალადობასა და ძალდატანებას.

ეს უტყუარი ჭეშმარიტება არ ჰსურს გაიგოს კირილე ნინიძემ. მას საკმაოდ სძულს ქართველი პროფესორები, რომ მშვიდად მოისმინოს მათი დასაბუთებული აზრი.

წინა კრებაზე ადმინისტრაცია მილიციის საარჩევნო უფლებას სოციალ-დემოკრატების მხრით რ. არსენიძე იცავდა. მაგრამ დღეს კ. ნინიძე ვერ დაუთმობს სიტყვას რ. არსენიძეს, რადგან მას კიდევ ერთი შემთხვევა ეძლევა ბოდიშ მოუხდელად წაჰკარას ფეხი ქართველ პროფესორს. „თუ თქვენ ასე გესმისთ დემოკრატიზმის პრინციპი—ამბობს კ. ნინიძე—და ამ მოსაზრებით გსურთ საარჩევნო უფლება წაართვათ ადმინისტრაციას, მაშინ იმავე მოსაზრებით უნდა წაართვათ ეს უფლება **პროფესორებსაც**, რომელთა ზედგავლენით აღზრდილი სტუდენტები ძალმომრეობას ჩაიდენენო“.

ადმინისტრაციას, რასაკვირველია ენიჭება საარჩევნო უფლება ხმის უმრავლესობით.

პარლამენტი ამტკიცებს მთელს დებულებას, თავისი ხარჯთ-აღრიცხვით მცირეოდენი შესწორების და დამატებების შემდეგ

ერთხმად დამტკიცებულია აგრედვე კანონ-პროექტი საბაჟო დაწესებულებებში საკანცელარიო გადასახადისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯთ აღრიცხვა.

ხ ყ.

—

სხდომა იწყება სრულ 12 საათზე ნ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით.

საარჩევნო კომისიის წევრი **ა. ლომთათიძე** განაგრძობს დამფუძნებელი კრების დებულების კითხვას მე-5 მუხლის ის ნაწილი, რომელიც აქტიურ საარჩევნო უფლებას ართმევს ადმინისტრაციას, კვლავ კამათს იწვევს.

იურიდიული კომისიის წევრი **მელ. რუსია** კომისიის სახელით მოითხოვს ადმინისტრაციას მიეცეს საარჩევნო უფლება.

ხპ. კედია (ნ. დ.) მოითხოვს მე-5 მუხლი უცვლელად იქმნეს დატოვებული.

რ არსენიძე (ს. დ.) შეუძლებლად სცნობს, რომ ადმინისტრაციას ჩამოერთვას საარჩევნო უფლება; „ჩვენი ადმინისტრაციის საერთო დონე—ამბობს ორატორი—დაქვეითდება, თუ ის მოკლებული იქნება ამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ უფლებას.

შ ნუცუბიძე (ს. ფ.), ჩვენი ფრაქციის სახელით უნდა მოგახსენოთ შემდეგი: თუ ვიცავთ იმ მოსაზრებას, რომ არჩევნები ხალხის ნამდვილი ნებისყოფის გამომხატველი უნდა იყოს, საჭიროა მოხელეებს არ მიეცეს არც აქტიური, არც პასიური უფლება. ბ-ნმა არსენიძემ ბრძანა: საარჩევნო უფლება უაღრესი პოლიტიკური უფლებაა და ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, რათა სავსებით იქმნეს გამოხატული ხალხის ნების-ყოფაო. ბ-ნო! ეს თვალსაზრისი, რომელსაც ბ. არსენიძე ადგია, რიცხვობრივ ნიადაგზე ემყარება. ჩვენ გვინდა მას თვისობრივი თვალსაზრისი დაუპირისპიროთ და ვამბობთ: თუ გსურთ, რომ არჩევნებში სავსებით გამოიხატოს ხალხის ნამდვილი ნებისყოფა, შეუძლებელია ადმინისტრაციას მიანიჭოთ საარჩევნო უფლება. ბ. არსენიძე თითქოს დემოკრატიზმის პრინციპს ემყარება და მითხოვს ამ პრინციპის ძალით, რომ საარჩევნო უფლება მიენიჭოს ყველას. თუ არსენიძეს ჰსურს მისცეს საარჩევნო უფლება ყველას და ამით ხელი შეუწყოს იმას, რომ ხალხის ნებისყოფა არ იქმნეს გამოხატული, მაშინ ის მართალია. ხოლო ჩვენ ასე არ გვესმის დემოკრატიზმის პრინციპი. დემოკრატიზმის პრინციპი მოითხოვს ხალხის სრულ ნებისყოფის გამოხატვას და მას ჩვენ უნდა მოუტანოთ მსხვერპლად ზოგიერთთა საარჩევნო უფლება. სულ უბრალო მაგალითია საკმარისი, რომ ამაში დავრწმუნდეთ: წარმოიდგინეთ გუბერნიის კომისარი არის საარჩევნო სიაში შეტანილი.

შეიძლება თუ არა, რომ გუბერნიის მთელი ადმინისტრაცია ემსახურებოდეს იმას, რომ გუბერნიის კომისარი ეთუოდ გაიყვანოს (და ეს ხომ ასე იქნება!) თუ თქვენ ეს სასურველად მიგაჩნიათ და ჰხედავთ, რომ აქ სავსებით გამოიხატება ხალხის ნებისყოფა, მაშინ ადმინისტრაციას უნდა მიეცეს საარჩევნო უფლება.

კ ნინიძე (ს. დ) აქ, მე მგონია, გაუგებრობაა. დემოკრატიული არჩევნების მოთხოვნაა თავისუფალი ნებისყოფის გამოხატვა. რომ თვითონ გუბერნიის კომისარი ჩაერიოს არჩევნებში და მუშტები აამუშავოს, მაშინ, რასაკვირველია, აქ ნებისყოფის გამოხატვაზე ლაპარაკიც ზედმეტია. თუ რიცხობრივ და თვისობრივ თვალსაზრისზე ვილაპარაკებთ, მაშინ ხმა უნდა წავართვათ ვაჭრებს, როგორც სპეკულიანტებს, მღვდლებს, როგორც კლერიკალებს, და აგრედვე **პროფესორებს** (ხაზი კ. ნინიძეს ეკუთვნის), რომელთა გავლენის ქვეშ იქნებიან სტუდენტები. მე მესმის რა ალაპარაკებთ იმათ, ვინც ადმინისტრაციისათვის საარჩევნო უფლების წართმევას მოითხოვს. ეს არის ზიზღი შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი, რომელსაც ეს ადმინისტრაცია ეკუთვნის. ადმინისტრაცია მუდამ საზიზღარი იყო მცხოვრებთათვის და ამან გამოიწვია ზიზღი. ბ ო, თუ თქვენ იცავთ იმას, რომ ადმინისტრაციაში მეორე ხარისხოვანი მოქალაქენი არიან, ჩვენ ამაში ვერ დაგეთანხმებით.

ივ. გობეჩია (ს.-რევ.) მოითხოვს: იმ ადმინისტრაციას, რომელსაც არჩევნებში წესიერების დაცვა მოუხდება, მოკლებული უნდა იყოს საარჩევნო უფლებას.

საკითხს სწყვეტს კენჭის ყრა. 41 ხმით წინააღმდეგ 21-ისა მიღებულია იურიდიული კომისიის შესწორება: ადმინისტრაციას ენიჭება საარჩევნო უფლება.

მომხსენებელი განაგრძობს დებულების კითხვას. მეშვიდე მუხლის შესახებ, სადაც ნათქვამია, ხმა ეძლევათ იმ მოქალაქეებსაც, რომელნიც სიების შედგენის დროს უცხოეთში იმყოფებოდნენ, ხოლო დებულების ძალით საარჩევნო უფლება აქვთ, სიტყვას თხოულობს **ხპ. კედია** (ნ.-დ) და მოითხოვს, რათა დებულებაში განისაზღვროს, რომ დეპუტატი იყოს არა ნაკლებ 25 წლისა და სახელმწიფო ენა და წერა-კითხვა იცოდეს.

მომხსენებელია **ალ. ლომთათიძე**. ბ. კედიამ ვერ დაამტკიცა, რომ 20 წლის არ შეიძლება იყოს საპარლამენტო მუშაობისათვის მომზადებული. მეორე მოსაზრება ვერ გავიგე: დეპუტატმა სახელმწიფო ენა უნდა იცოდესო. სწორედ ჩვენც ასე ვფიქრობთ და სხვანაირად არ შეიძლება ვისმე ესმოდეს: „საქართველოს პარლამენტში უნდა იყოს სახელმწიფო ენის მცოდნე“.

ხპ. კედიას წინადადება — პასიური უფლება მიეცეს იმას, ვინც სახელმწიფო ენა იცის, უარყოფილია 29 ხმით წინააღმდეგ 25-ისა.

მეათე მუხლში (ცენტრალური საარჩევნო კომისია) ლ. ნათაძეს (ს.-დ.) შესწორება შეაქვს: ნაცვლად 13-ისა ცენტრ. საარჩევნო კომ. წევრთა რიცხვი გადიდებულ იქმნას 21-მდე:

„მას შემდეგ, რაც ეს დებულება შემუშავდა, ამბობს ორატორი—ჩვენს პარლამენტს კიდევ მოემატა ფრაქციები და ამიტომ 13 წევრი ცოტა იქნება ცენტრ კომისიისათვისო“.

შესწორება მიღებულია.

მეთორმეტე მუხლისათვის (სამაზრო საარჩევნო კომისიები) სამი შესწორება შემოდის:

შ. მიქელაძე (ს.-ფ.) მოითხოვს, რომ სამაზრო საარჩევნო კომისია აირჩიოს სამაზრო ქალაქის გამგეობამ მაზრაში მომქმედ პარტიათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

ხპ. კედია (ნ.-დ). კომისიები შესდგეს სასამართლოების მიხედვით, მასვე შეუძლებლად მიაჩნია, რომ კომისიები ძალთა განწყობილების მიხედვით შესდგეს.

ივ. გობეჩია (ს.-რევ.) შემოაქვს შესწორება: „მაზრის ერობის გამგეობა ადგენს კომისიას“.

შ. მიქელაძის შესწორება მიღებულია. დანარჩენი ორი შესწორება უარყოფილია.

უარყოფილია აგრედვე **ხპ. კედიას** (ნ. დ.) წინადადება, რომ კონვერტები ხელმოწერილი იყოს.

მე-99 მუხლი ეხება სასჯელს, რომელიც არჩევნების წესის დამრღვევთ და არჩევნებში ბოროტ-მომქმედთ უნდა გადაეწყვიტოს.

შ. მიქელაძე (ს.-ფ) რასაკვირველია, ის, ვინც არჩევნებში ძალადობას იხმარს დასჯილი უნდა იქმნას. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადმინისტრაციას. ს.-ფ. ფრაქციის სახელით წინადადებას ვიძლევი ამ მუხლში შემდეგი დამატება იქმნას შეტანილი: ვინც ადმინისტრაციის მოსამსახურეთაგანი ბოროტმოქმედებას ჩაიდენს, დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან და ექვსი თვით დატუსაღებული.

შ. მიქელაძის დამატება უარყოფილია.

დასასრულ მომხსენებელი **ალ. ლომთათიძე** ჰკითხულობს ხარჯთ-აღრიცხვას, რომელიც მიღებულია მთლიანად. მიღებულია აგრედვე **ი. ლორთქიფანიძის** (ნ. დ.) დამატება: კანონში იქმნას აღნიშნული, რომ არჩევნებისათვის მოწვეულ პირებს მუშაობის გათავების შემდეგ სალიკვიდაციო არ მიეცემათ.

დამფუძნებელი კრების დებულება და მასთან დართული ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულია ერთხმად ყველა ზემო აღნიშნულ მიღებულ შესწორებებითა და და დამატებებით.

კანონ-პროექტი საბაჟო დაწესებულებებში საკანცელარიო გადასახადისა.

მომხსენებელი **დ. შარაშიძე** თავის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ რადგან საკანცელარიო ხარჯები მეტად გაიზარდა, გადასახადიც ხუთჯერ უნდა იქმნეს გადიდებული.

შემდეგ მომხსენებელი ჰკითხულობს კანონ-პროექტს, რომელიც პარლამენტმა ერთხმად მიიღო.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა.

ხარჯთ-აღრიცხვას ჰკითხულობს საფინანსო კომისიის წევრი **დ ონიაშვილი**. ძირითადი ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 102.560 მანეთს. დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვაში აღნიშნულია უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების მიღებისათვის 150 000 მან., საქართველოს წარმომადგენელთა შესანახავად 125.000 მინისტრის განკარგულებაში 100 000 მან. და სხვა, სულ 385.000 მან.

აკ. ფაღავა. (ს.-ფ.) სოც.-ფედერალისტთა ფრაქციას წინააღმდეგი არაფერი აქვს ამ ხარჯთ-აღრიცხვისა. აქ დამატებაში არის მუხლი ჩვენი წარმომადგენლების შენახვის შესახებ. წინადადებას ვაძლევთ სამინისტროს ამ მუხლში მოხსენებული ხარჯთ-აღრიცხვა ცალკე წარმოადგინოს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულია ერთხმად.

სომხეთის საბჭოს დეპეშა.

მდივანი დ. ონიაშვილი ჰკითხულობს სომხეთის საბჭოს დეპეშას:

„სომხეთის საბჭომ ოქტომბრის 29-ის სხდომაზე სიამოვნებით მოისმინა მინისტრ-თავმჯდომარის მოხსენება შესახებ იმისა, რომ მოსაზღვრე ჯარებს შორის მომხდარი კონფლიქტი ურთიერთის შეთანხმების გზით იქნება გათავებული. მისცა რა სათანადო წინადადებანი თავის მთავრობას, სომხეთის საბჭომ დაადგინა: მიმართოს საქართველოს პარლამენტს და გამოსთქვას ღრმა რწმენა, რომ ვერავითარი გაუგებრობა ვერ შეარყევს საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებულ კავშირს, ორ მოძმე ერს რომ აერთებს. საბჭოს სწამს, რომ საქართველოს პარლამენტი ყოველ ღონეს იხმარს, რათა მომავალი მოლაპარაკება მშვიდობიანად დამთავრდეს.

სომხეთის საბჭოს თავმჯდომარე: **სააკიანი.**

ამასთანავე მთავრობის კანცელარია იუწყება, რომ დეპეშა დაგვიანდა, რადგან ტფილისის რადიო-სადგური არ ღებულობდა დეპეშებს. მთავრობის საქმეთა მმართველი: **კონსტანიანი.**

ავსტრია-ჰუნგრეთში

გერმანული პრესა ნოემბრის 1.

როგორც გაზეთები იტყობინებიან, ავსტრიელ გერმანელების, ეროვნულ ყრილობას აღმასრულებელი კომიტეტი ბერლინში გზავნის მუდმივ წარმომადგენელს გერმანიის პარლამენტსა და მთავრობასთან კონტაქტის დასაჭერად.

ბუდაპეშტიდან იტყობინებიან, რომ წუხელ ეროვნულმა საბჭომ მთავრობის ფუნქციები თავის თავზე მიიღო, მას შემდეგ რაც მის მხარეზე გადავიდა მეციხოვნე ჯარის უმეტესი ნაწილი. ამის გამო გრაფმა სადიკმა უკან წაიღო თავისი წინადადება მთავრობის შედგენის შესახებ. მეფის დავალებით ერცჰერცოგმა იოსებმა წინადადება მისცა გრაფ კაროლის ახალი კაბინეტი შეადგინოს. ეროვნულმა საბჭომ მცხოვრებლებს გამოუცხადა ეს. ბუდაპეშტი აღფრთოვანებულია. საზოგადოებრივი და კერძო შენობები ბაირაღებითაა მორთული ეროვნულ საბჭომ დაადგინა რკინის გზებზე შესწყდეს სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა, მხოლოდ სასურსათო მატარებლები დადიან. ეროვნულ საბჭოს მიერ გაგზავნილმა ჯარებმა გაანთავისუფლეს ჟანდარმების მიერ ყაზარმებში მომწყვდეული სამხედრო ნაწილები. მცხოვრებთა დიდი ბრბო შეიჭრა სასამართლოს ციხეში და გაანთავისუფლა ლეინერი, რომელმაც ამას წინად პარლამენტის წინ გრაფ-ტისსას მოკვლა განიზრახა.

ჰუნგრეთის ეროვნულმა საბჭომ, შემდეგი მოწოდებით მიმართა ხალხს: ჰუნგრეთის ხალხმა ჯარისკაცებმა, მუშებმა და მოქალაქეებმა აიღო ხელში ქვეყნის მართვა-გამგეობა

ჰუნგრეთის ხალხი ამოძრავდა რასაც შედეგად მოჰყვა მართვა-გამგეობის ხალხის ხელში გადასვლა ჰუნგრეთის მბრძანებლებმა ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო უფლება გადასცეს ჰუნგრეთის ხალხის ეროვნულ საბჭოს. ეროვნულ საბჭოს პრეზიდენტის გრაფ მიხეილ კაროლის ხელშია სრული სამხედრო და სამოქალაქო უფლება. ჰუნგრეთის ხალხის მთავრობის თავმჯდომარე გრაფი მიხეილ კაროლი და ჰუნგრეთის ეროვნული საბჭო ულოცავს ამ გამარჯვებას ჰუნგრეთის ხალხს, და საერთაშორისო ზავის და ქვეყნის სახელით სთხოვს ხალხს დაუბრუნდნენ მუშაობას. დიდმა გაფიცვამ სულ მოკლე ხანში თავის მიზანს მიაღწია. ჯარისკაცნო, დაუბრუნდით თავის ყაზარმებს და უცადეთ ჰუნგრეთის ხალხის ეროვნული საბჭოს განკარგულებას, რომელიც მოგცემთ თქვენ უფლებას და ზავს. ყველამ უნდა ეცადოს რათა წესიერება და სიმყუდრო დაცულ იქმნას, ეროვნული საბჭო, ჰუნგრეთის ხალხისაგან ელის სიწყნარეს, კეთილ გონიერებას. ეროვნულმა საბჭომ ცნობა მიიღო რომ დუნაის ფლოტი მას მიემხრო და ერთგულებაზე ფიცი დასდო.

გერმანიის პრესა ნოემბ. 1 ვენაში დღეს ჯარისკაცებს აფიცებენ. ფიცის ტექსტში ნათქვამია, რომ ჯარისკაცი ფიცს დებს და პირდება რომ ის, როგორც ადამიანი, ჯარისკაცი და როგორც მოქალაქე ავსტრია გერმანიის თავისუფალ სახელმწიფოსი, დაემორჩილება იმ ძირითად კანონებს, რომელიც მიიღო დროებითმა ეროვნულ საბჭომ სტატს-ნატარიუსის დოქტორ სილვესტრის და ახლად დანიშნულ სტატს-სეკრეტარის ზეიმით დაფიცება; დოქტორ დინგხოფერმა წაიკითხა ფიცის შემდეგი ფორმულა: ფიცს ვდებთ რომ თქვენი პირად ღირსებით და მოქალაქეობრივ სინიდისით მთელს თქვენს ფიზიკურ და გონებრივ ძალებს დაუბრკოლებლივ გასწირავთ გერმანია-ავსტრიის სამშობლოს სასარგებლოდ, რომ თქვენ უერთგულებთ სამშობლოს, ეროვნულ საბჭოს მიერ შემუშავებულ ძირითად კანონებს და აგრედვე მათი მიხედვით სახელმწიფო საბჭოს მიერ გამოცემულ კანონებს

ვენის გაზეთებს ფიუმედან ატყობინებენ: „ადგილობრივი იტალიელები სამხრეთ სლავიანთა ძალა-უფლებას ფიუმეში არა სცნობენ. მათი თხოვნით იტალიის ფლოტი ფიუმეში შემოვიდა. ნავთსადგურში მყოფი ყველა გემები ამერიკის და იტალიის დროშებს მიესალმნენ.

დააპატიმრეს ტრიესტში მეფის მოადგილედ ნამყოფი, ბარონი ფრიესკენი, რომელიც ავტომობილით ლებეკზე მიემგზავრებოდა და აგრედვე ზღვის ნაპირის ოლქის სხვა გერმანელი უმაღლესი მოხელენი.

სლავიანთა ეროვნულმა საბჭომ ფელდმარშალ ლეიტენანტი ივანოვიჩი სლავიანთა მთელი ჯარების მთავარ-სარდლად დანიშნა.

კორესპონდენტი ვილჰელმსი იტყობინება: წუხელი ტრიუმვირატის დარბაზში შესდგა ჯარის კაცთა საბჭოს სხდომა, რომელიც შუადღის შემდეგ პარლამენტში იქმნა არჩეული. სხდომა სიწყნარით ჩატარდა. ამის შემდეგ ჯარისკაცთა და ოფიცერთა კორტეჟი გაემართა

სამხედრო სამინისტროსკენ და შემდეგ ფრანც-იოსების ქუჩით, მდინარის პირზე; კორტეჯს გზაში დიდძალი ხალხი შეუერთდა და სხვათა შორის საეჭვო ელემენტებიც. „ფრანც-იოსების“ ქუჩაზე ზოგან სახლების ფანჯრები ჩამტვრეულია. დაატუსაღეს ის ოფიცრები, რომელთაც კაკარდები არ ჰქონდათ. ამის შემდეგ ბრბო როხაუერის ყაზარმებისკენ გაემართა პატიმართა გასანთავისუფლებლად. აქ ძლიერი ყარაული იდგა; რამდენიმე სროლის შემდეგ ბრბო გაიფანტა. სხდომის 9 საათის შემდეგ სიწყნარე აღდგენილ იქმნა.

გრაფი ტისსა ნათესავ ქალთან სეირნობის დროს ჯარისკაცებმა რევოლვერით მოჰკლეს. თანამგზავრი ქალი მძიმედ დაიჭრა.

კაროლიის ახალი სამინისტრო საბოლოოდ შესდგა. საგარეო საქმეთა მინისტრად გრაფი თეოდორ ბატიანი დაინიშნა.

პროვინციის ქალაქები და ბუდაპეშტი დროშებით მორთეს.

ვენაში სრული მყუდროებაა. მოლაპარაკება დემობილიზაციისა და ყაზარმული რეჟიმის შეცვლის შესახებ თითქმის დამთავრებულია. იმპერატორი კარლოსი ვენაში იმყოფება.

„ბერლინერ ტაგებლატი“ ვენაში ავსტრიელ მცხოვრებლების დემონსტრაციების შესახებ შემდეგს იუწყება: პარლამენტის შენობის წინ ოქტ. 30-ს სტუდენტების და მუშების დიდი დემონსტრაცია მოხდა. დეპუტატმა რენერმა სიტყვა წარმოსთქვა; მან ხოტბა შეასხა მოქალაქე-ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხების ვაჟკაცობას და მამაცობას. ეროვნულ საბჭოს სახელით პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ ეროვნულმა მთავრობამ მთელი ძალა-უფლება ხელში აიღო. ბრბომ საპასუხოდ შესძახა: „უგაბსბურგოდ“. დეპუტატმა მალიკმა, რომელიც პარლამენტის კარებში სიტყვას ამბობდა, ოფიცრებს და ჯარისკაცებს მოსთხოვა, რომ საიმპერატორო კაკარდებს ზედ დააკრან ეროვნული სამფეროვანი ნიშნები: „დავფაროთ ის სირცხვილი, რომელიც ქუდებზე დაგვქონდა იმით რაც ჩვენს გულში სცოცხლობს“ ჯარისკაცებმა მოიგლიჯეს კაკარდები და ეროვნული ნიშნები მიიკრეს. ჯარისკაცებმა იერიში მიიტანეს სამხედრო ციხეზე და გაანთავისუფლეს სამხედრო დამნაშავენი და აგრეთვე პოლიტიკური და სამხედრო პატიმარნი.

ვენა. ოფიციალური ცნობის თანახმად ავსტრია ჰუნგრეთში ახლად შემდგარ ეროვნულ საბჭოში და სამხრეთ-სლოვაკების ქვეყნებში საკუთარი არმია ეყოლებათ.

სოციალ დემოკრატიულ პარტიის სადამოს სხდომამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც აღიარებს ყველა ეროვნებათა ეროვნულ თვითგამორკვევის უფლებას და ამასავე მოითხოვს გერმანიის ხალხისათვის.

მთავრობაში

მთავრობამ დაადგინა: თანახმად სახელმწიფო კონტროლიორის დასკვნისა და დამატებით მთავრობის ოქტომბრის 10-ის დადგენილებისა, გაეხსნას ტფ. სახაზინო პალატის მართველს 3000 მ. კრედიტი მასდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა რევიზიისათვის საჭირო სამგზავრო ხარჯების დასაფარავად.

—

მთავრობამ დაადგინა: მიეცეს განათლების მინისტრს 25000 მანეთი ტფ. საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის სასწრაფო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად იმ პირობით, რომ ეს ფული დაუბრუნდეს ათ. მილ. ფონდს ხსენებული სასწავლებლის თანხიდან დამტკიცების შემდეგ.

—

მიეცეს განათლების მინისტრს გაგრის რეალურ სასწავლებლის და ორ პირველ დაწყებით სკოლათა ხარჯების დასაფარავად 15000 მან. ათ მილიონ ფონდიდან.

—

დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს დახმარება აღმოუჩინოს იმ მუშა მოსამსახურეებს, რომელთაც არავითარი შრომის უნარი არა აქვს; ეს დახმარება უნდა მიეცეს ინვალიდ მუშებს შინაგან სამინისტროში ამ მიზნით არსებულ თანხებიდან.

—

მთავრობამ საზოგადოება „რუნეტო“-ს ნავთის შემოტანისათვის წინადადებაზე დაადგინა მიენდოს მიწათ-მოქმედების, გზათა და ფინანსთა მინისტრებს დანიშრონ წევრები იმ კომისიისათვის, რომელიც აღნიშნულ საზოგადოებას მოელაპარაკება.

ზავის გარშემო

ზავი ოსმალეთთან.

პალატაში საფრანგეთის საზღვაო მინისტრმა განაცხადა, რომ ოსმალეთთან დროებითი ზავი პირველყოვლისა ჰგულისხმობს მოკავშირეთა ესკადრის შავ ზღვაზე თავისუფალ შესვლას, დარდანელის და ბოსფორის ფორტების დაჭერას და აგრეთვე მოკავშირეთა სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნებას.

ინგლისის გაზ. „ივნინგ-ნიუსის“ ცნობის თანახმად ყოველ წუთს მოელიან ბრიტანიის სამხედრო საზღვაო ძალების სტამბოლის დაჭერას.

მოსკოვი. კოპენჰაგენი 2/11. მოკავშირეებმა პარიზში შემდეგი ზავის პირობები გამოიმუშავეს: გერმანიამ უნდა დასცალოს საჩქაროდ ელზას-ლოტარინგია, ფრანგებმა მეცი და სტრასბურგი უნდა დაიჭირონ. გერმანიამ თავისი სამხედრო ფლოტი უნდა მისცეს მოკავშირეებს, ინგლისელები გელ-გოლანდს დაიჭერენ. ამერიკელები რეინის ხიდებს ესს ენის ზარბაზანი ქარხნები მოკავშირეთა კანტროლის ქვეშ იქნება.

ვენა. 2/11. ავსტრია, იტალიაში დაპყრობილ ადგილებს სცლის.

ახალი ამბავი

◆ **ნავთის მონოპოლია**. ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო განყოფილებაში მუშავდება ნავთის მონოპოლიის პროექტი. ამ საშუალებით ნავარაუდევია 50 მილიონის შემოსავალი.

◆ **ბაქოში წასვლა**. ადერბეიჯანის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ჯაფაროვმა შეატყობინა საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ ვინც კი ბაქოში აპირებს წასვლას საჭიროა საგანგებო მოწმობა, რომელსაც ადერბეიჯანის მისია იძლევაო. უმოწმობოდ წასვლა მხოლოდ განჯამდე შეიძლება.

◆ **სათამაშო ქაღალდი**. მთავრობამ მოიწონა სათამაშო ქაღალდზე მონოპოლიის გამოცხადების პროექტი, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ შეიტანა. ასეთი მონოპოლია საქართველოს ხაზინას 500 ათას მან. შემოსავალს მისცემს.

◆ **ჩაი**. ფინანსთა სამინისტროს პროექტი ყველა ხარისხის ჩაიზე გადასახადის დაწესების შესახებ, მთავრობამ დაადასტურა. ამ მხრივ ნავარაუდევია 900 ათასის შემოსავალი.

◆ **ახალი ჟურნალი**. ნოემბრის 10 ტფილისში გამოვა ახალი სურათებიანი ჟურნალი „ჯარი და ერი“-ს სახელით. ჟურნალი უპარტიო იქნება და მონაწილეობას მიიღებენ სამხედრო სპეციალისტები და ცნობილი მწერლები.

◆ **ტყვიბულის მაღაროებში**. ტყვიბულიდან მთავრობის წარმომადგენელი იტყობინება, რომ გაფიცულ მაღაროს მუშებთან მოლაპარაკებამ შედეგი ვერ მოიტანა და მაღაროებში კვლავ გრძელდება გაფიცვა. გაფიცულ მუშების სამსახურის ლიკვიდაციისა და საქმის ახალ საფუძველზე მოსაწყობად საჭიროა დაიხარჯოს ერთ მილიონ ნახევარი მანეთი.

◆ **სამხედრო მინისტრის მეორე ამხანაგი**. სამხედრო მინისტრის მეორე ამხანაგად დაინიშნა გენერალ-მაიორი მდივანი.

◆ **მასწავლებელთა შტატი**. განათლების სამინისტრომ უკვე შეიმუშავა საშუალო მასწავლებლების შტატი, რომელიც ამ დღეებში მთავრობას წარედგინება დასამტკიცებლად.

◆ **რევიზია**. ამ დღეებში განათლების სამინისტრო შეუდგება საქართველოს ყველა სასწავლებლების რევიზიას.

◆ **დანიშვნა**. სასურსათო საბჭოს თავმჯდომარის მესამე ამხანაგად დაინიშნა ვ. ვ. კანდელაკი.

◆ **სამხედრო წესები**. საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად საქართველოს რკინის გზები და ფოთის ნავთსადგური და მისი რაიონი გამოცხადდა სამხედრო წესზე-მყოფად.

◆ **გენერალ-გუბერნატორი**. სამხედრო წესზე მყოფად გამოცხადებულ საქართველოს რკინის გზებისა და ფოთის ნავთ-სადგურის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გენერალ-მაიორი ყარალაშვილი. ამ ნაწილში ყარალაშვილს ემორჩილება ყველა სამხედრო ნაწილები და ჯავშნოსანი მატარებლები.

◆ **რკინის გზების დაცვა**. საქართველოს რკინის გზების დაცვა სამხედრო მინისტრის ხელში გადავიდა.

◆ **ფასების დაწევა**. ბოლო ხანებში ტფილისის ბაზარზე ზოგიერთ საქონლის ფასმა საგრძნობლად დაიწია, განსაკუთრებით სარეცხის საპონის, შაქრის, წინდების, ფქვილის და სხვა მაზანდა საკმაოდ დაეცა.

◆ **იარაღის აყრა**. ტფილის ქუჩებში მილიციის უფროსმა გამოაკრა ბრძანება, სადაც ნათქვამია, რომ ყველა მოქალაქემ, ნამდვილად ჯარში მოსამსახურე ოფიცრებისა, სამხედრო პირებისა და იმათ გარდა, ვისაც სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის ნებართვა აქვს. იარაღი უნდა აიყარონ და ჩააბარონ ტფილისის საკომენდანტოს. თავისუფლად იარაღის ჩაბარების უკანასკნელი ვადა ნოემბრის ექვსამდეა. შემდეგ კი, ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს და კვლავ აღმოაჩნდება იარაღი, დაისჯება ექვსი თვის ციხეში დატუსაღებით. ან საქართველოს საზღვრებიდან გაძევებით.

◆ **ოპერა**. ნოემბრის სამიდან სახელმწიფო თეატრში კვლავ განახლდა რუსული საოპერო სეზონი. დასს ხელმძღვანელობს ცნობილი ანტრეპრენიორი ევლახიშვილი. მონაწილეობენ თვალსაჩინო მომღერლები და ფასები საგრძნობლად დაკლებულია.

◆ **ესპანიური სახადი**. ტფილისში კვლავ მძვინვარებს ეპიდემიური ავადმყოფობა ეგრედ წოდებული ესპანიური სახადი, რაიც ფილტვების ანთებაზე გადადის და სიკვდილითაც თავდება. განსაკუთრებით უკანასკნელ ხანს, როცა აცივდა და ხელმოკლე ხალხი შესაფერისად ვერ უვლის თავს.

◆ **შუამდგომლობა**. გაგრის ქალაქის თავმა შუამდგომლობა აღძრა გზათა მინისტრის წინაშე, გაგრის ორი ნაწილის შუა „კონკის“ გზის აღდგენისა—და გაყვანის შესახებ.

◆ **საქონლის გაცვლა**. პარლამენტის წევრი ა. ასათიანი ბაქოს გაიგზავნა ადერბეიჯანთან საქონლის გაცვლისა და სავაჭრო ხელშეკრულების დადებაში მონაწილეობის მისაღებად.

◆ **რუსები ბაქოში**. ბაქოს ეროვნულმა დროებითმა საბჭომ ადერბეიჯანის მთავრობას მიჰმართა თხოვნით, ბაქოდან რუსების ევაკუაციის შესახებ, საბჭომ სთხოვა ადერბეიჯანს ღარიბი რუსები უფასოდ გადაგზავნეთ და საერთოდ თქვენს ტერიტორიაზე გაგვიადვილეთ მგზავრობაო.

◆ **ქურდობა**, ოქტომბრის 30-ს მეცხრე სასურსათო ნაწილის კომიტეტიდან მოიპარეს სასურსათო ბარათი 1770 რაციონისა.

◆ თანახმად რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებისა რესპუბლიკის რკინის გზა და ფოთის ნავთ სადგური ცხადდება სამხედრო წესზე მყოფად.

◆ **მკვლელობა**. ნოემბრის პირველს დღისით სასურსათო მაღაზიის დარაჯმა სიხარულიძემ თოფით მოჰკლა ჩინელი მუშა ვემუმი. სიხარულიძე დაატუსაღეს.

◆ **სომეხთა მიწები**. სომხეთის წარმომადგენელმა ჯამალიანმა ამას წინად გარეშე საქმეთა მინისტრს მიჰმართა კერძო მესაკუთრეთა მიწების ჩამორთმევის კანონი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომებზედაც ვრცელდება თუ არაო. ეს შეკითხვა მიწათ-მოქმედების მინისტრს გადაეცა დასკვნისათვის. ეხლა ჯამალიანი თხოულობს: ვიდრე მიწათ-მოქმედების მინისტრი განმარტებას მოიცემოდეს შეჩერებულ იქმნას სომხების ქვეშევრდომთა ნორმაზე მეტი მამულების ჩამორთმევაო.

◆ **სატელეფონო „ბუდკები“** საგზაო ინჟინერმა ზვერმანსკიმ ქალაქის გამგეობას სთხოვა ნება მომეცით ტფილისის სხვა და სხვა ნაწილებში სატელეფონო „ბუდკები“ მოვაწყო მოქალაქეთა საერთო სარგებლობისათვისაო. გამგეობამ თხოვნა დააკმაყოფილა და კონიევს დაავალა ხელი შეუწყოს ამ საქმის განხორციელებას.

◆ **მძარცველობა**. ოქტომბრის 30 არტილერიის ქუჩაზე, მკერვალ ფიშელევიჩის ბინას გაძარცვის განზრახვით თავს დაესხა სამი ბოროტგამზრახველი. ფიშელევიჩის შინაურებმა ეს ამბავი აცნობეს მახლობელ ყაზარმაში საიდანაც საშველად რამოდენიმე ჯარის კაცი მოვიდა სასწრაფოდ. ჯარისკაცებმა მძარცველებს მაშინ მოუსწრეს, როცა ისინი კარებსა სტეხდნენ და შეიპყრეს. მათ სახე ძალით შეცვლილი და გრიმები ჰქონდათ გაკეთებული. სამილიციო ნაწილში წაყვანის დროს ისინი გაიქცნენ მაგრამ მილიციელებმა სროლით სამივე მძარცველი მოჰკლეს.

◆ **მატარებელი სანაინისაკენ**. ტფილისსა და სანაინს შუა დანიშნულია მატარებელი. მატარებელი შაგალამდე მიდის, იმას იქით კი, სომხების მატარებელი ივლის.

◆ **რკ. გზის გენერალ-გუბერნატორი**. გუშინ გზათა მინისტრს წარუდგა მთავრობისაგან ახლად დანიშნული რკინის გზების გენერალ-გუბერნატორი ყარალაშვილი.

◆ **სამართალში მიცემა**. მილიციის უფროსმა სამსახურიდან დაითხოვა და სამართალში მისცა სამსახურის დროს ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის მე 5 უბნის კომისარის თანაშემწე არომიძე და უფროსი მილიციონერი ხუნდაძე.

◆ **დათხოვნა**. სამსახურიდან დაითხოვეს მილიციის უფროსის კანცელარიის საქმეთა მმართველი დარახველიძე.

◆ **მინისტრის წერილი**. გზათა მინისტრმა საქართველოს სახაზინო რკინის გზათა უფროსს წერილობით დაავალა სასტიკი ზომების მიღება გზათა მმართველობის მთავარ ბუღალტერიასა და მის ქვემდებარე ნაწილებში კონტროლის მიერ აღმოჩენილ ანგარიშის უწესრიგობის აღმოსაფხვრელად.

ამასთანავე მინისტრმა აუწყა გზათა უფროსს, რომ აღნიშნულ დაწესებულებებში უკვე ჩადენილ ბოროტებისათვის დამნაშავეთა დასაჯელად ინიშნება კომისია ინჟ. გ. თუმანიშვილის თავმჯდომარეობით.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

დღეს საღამოს 7 საათზე მოხდება საგუბერნიო კომიტეტის სხდომა.

—

იოსებ ბარათაშვილის მოხსენება პარტიულ ბიუროში. ოთხშაბათს, ნოემბრის 6 სოც.-ფედერალისტთა სარპარტ. კლუბში გაიმართება ჩვეულებრივი საოთხშაბათო კრება. პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი და ჩვენი პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი ამხ. იოსებ ბართაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „პარლამენტი და საქართველოს სახელმწიფო“. მოხსენება იმდენად სერიოზულ საკითხს ეხება, რომ სასურველია რაც შეიძლება მეტი ამხანაგი დაესწროს. მოხსენების შემდეგ გაიმართება ფართე ხასიათის კამათი.

—

საქ. სოც.-ფედ. ს. პარტიის **ფოთის კომიტეტი** თავის პარტიულ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ ამით აცხადებს, რომ 1918 წ. პირველი ოქტომბრიდან წევრებზე ყველა დღემდის გაცემული საწევრო ბარათები გაბათილებულია, **ხოლო** ახალ საწევრო ბარათების მისაღებად კი (თანახმად პარტიულ ორგანიზაციის ახალი წესისა) გამოცხადდნენ ადგილობრივ პარტიულ კლუბში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა არა უგვიანეს ორი კვირისა.

ფოთის კომიტეტი.

—

სტუდენტთა კრება ხუთშაბათს, ნოემბრის 7-ს ლექციების შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში დანიშნულია ამავე უნივერსიტეტის ყველა ფაკულტ. სოც.-ფედერალისტ სტუდენტთა კრება.

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც.-ფედ. სტუდენტთა პარტიულ ბიუროს არჩევნები.

2) კანდიდატების დასახელება უნივერსიტეტის სტუდენტთა მომავალ გამგეობაში.

3) და სხვა მიმდინარე საკითხები.

ვთხოვთ ყველა ამხანაგებს, მათაც, რომლებიც დილით ისმენენ ლექციებს, აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას.

პარლამენტის გარშემო

დღევანდელ სხდომის წესრიგი;

1) დამფუძნებელ კრების საარჩევნო ცენტრალურ საპარლამენტო კომისიის არჩევა.

2) საბოლოო ტექსტი შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის დამთავრების კანონისა. მომხსენებელია რ. არსენიძე.

3) საბოლოო ტექსტი საბაჟო დაწესებულებებში საკანცელარიო გადასახადის კანონისა. მომხსენებელია რ. არსენიძე.

4) საბოლოო ტექსტი გარეშე საქმეთა სამინისტროს შტატების და ხარჯთაღრიცხვის კანონისა. მომხსენებელია შ. ამირეჯიბი.

5) სამანდატო კომისიის მოხსენება საქართველოს ელლინთა წარმომადგენლის პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ. მომხსენებელი შ. ამირეჯიბი.

6) კანონ-პროექტი სახელმწიფო ქაღალდების მბეჭდავ ექსპედიციის ხარჯთაღრიცხვისა მომხს. დ. ონიაშვილი.

7) კანონ-პროექტი აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ სტატისტიკის შედგენისა. მომხსენებ. დ. ონიაშვილი.

8) კანონ-პროექტი სახელმწიფო ხაზინის მოწყობისა. მომხს. ი. ლორთქიფანიძე.

9) კანონ-პროექტი სათამაშო ქაღალდზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესების შესახებ

10) კანონ-პროექტი გასართობებზე შესავლელ ბილეთების გადასახადის ხაზინის შემოსავლად ჩარიცხვის შესახებ.

11) კანონ-პროექტი 1915 წ. ნოემბრის 22-ს კანონის (გასართობებზე სამხედრო გადასახადების შესახებ) შეცვლისა.

12) კანონ პროექტი სამღვთო სჯულის სწავლების გაუქმებისა ყველა ტიპისა და საფეხურის სახელმწიფო და კერძო სკოლებში. მომხს. ლ. ნათაძე.

13) კანონ-პორროექტი სხვა და სხვა უწყების სკოლების განათლების სამინისტროს უწყებაში გადასვლის შესახებ. მომხს. ნ. ცინცაძე.

14) ახმეტელის შეკითხვა

15) თარხანოვის და თუმანოვის შეკითხვა.

16) დავითხანოვის შეკითხვა.

პარლამენტის სხდომები.

შაბათს, ნოებრის 2-ს პარლამენტმა დაადგინა სხდომები დაიწყოს სრულ 12 საათზე (ნაცვლად 11-სა) და გათავდეს 8 საათზე.

ქართული სამედიცინო ტერმინოლოგია

რუსეთში თვითმყრობელობის დროს სასანიტარო განყოფილება იყო ნაბიჭვარი რომელიმე სამინისტროსი. ამის მიზეზი იყო რომ მას მცირე ყურადღებას აქცევდნენ და თუ სასანიტარო საქმე ვითარდებოდა ამ შემთხვევაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ერობას, ასეთივე ბედი დაატყდა სასანიტარო საქმეს საქართველოში. საქართველოს თავისუფლების შემდეგ, სამინისტროები შეუდგნენ ნაციონალიზაციის გატარებას თავის უწყებებში. დაარსეს კომისიები ტერმინოლოგიის შესამუშავებლად სასანიტარო განყოფილებას კი ჯერჯერობით პატრონი არა ჰყავს თუ რამე არს გაკეთებული ტერმინოლოგიის შესახებ, აქ მიუძღვის ღვაწლი ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებას მაგრამ ამათაც ძლიერ ნაკლები გააკეთეს. ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებამ ამ ერთი წლის წინად ამოირჩია სატერმინოლოგიო კომისია ექ. თიკანაძის თავმჯდომარეობით. როგორც თვით თავმჯდომარის მოხსენებიდან დავინახეთ კომისიას ძლიერ ცოტა მოუსწრია. არ შემიძლიან არ მივაქციო ყურადღება კომისიის წევრების გულგრილობას. მე დავესწარ რამდენიმე კრებას, როგორც სტუმარი, და ხშირად ან ერთი და ან ორი წევრი მოვიდოდა, რის გამოც თავმჯდომარე იძულებული იყო კრება დაეხურნა.

ამისთანა მოვლენა არ შეიძლება ავსხნათ იმით რომ მათ მუშაობა არა ჰსურთ, არამედ უფრო ღრმად უნდა მოვძებნოთ ამის მიზეზები. ტერმინოლოგია მაშასადამე მზად არა გვაქვს, მაგრამ მისი მოთხოვნილება დიდია, დავაარსეთ ქართულ უნივერსიტეტში საექიმო ფაკულტეტი და ვერ წარმოიდგენია, თუ როგორ უნდა წაიკითხოს პროფესორმა ლექციები, როდესაც ტერმინოლოგია არ არის. ნუ თუ ისევ უნდა მივმართოთ უცხო ენას და სასაცილოდ ავაგდებინოთ თავი ჩვენ მტრებს. რკინის გზის მმართველობაში ყველა ნაწილისთვის მოუხდენიათ ნაციონალიზაცია, გარდა სასანიტაროსი, რადგანაც ტერმინოლოგია არა გვაქვს (განცხადება რკინის გზის ექიმისა ექიმთა კრებაზე); საბებიო და მიხეილის საავადმყოფოებში ნაციონალიზაცია არ არს გატარებული და სხვ. ამას სერიოზულად უნდა შეხედოს ჩვენმა მთავრობამ და მიიღოს ყოველი ღონისძიება ტერმინოლოგიის შესამუშავებლად. ნუ გვეგონება, ამ დარგში არავის არ ემუშავნოს. მასალა ბევრია, მხოლოდ შეგროვება, შეთანხმება და გამოქვეყნება არის საჭირო, ტერმინოლოგია შემუშავებული აქვთ ქართულ ენის მცოდნე ექიმთ და

პუნებისმეტყველთ, ზოგიერთი წიგნაკებიც კი არის დაწერილი, მაგრამ არ შეიძლება მათი გამომცემება, სანამ არ იქმნება შეთანხმება ამის შესახებ. ოქტომბრის 20 ს ტფილისის და ქუთაისის ექიმთა შეერთებულ სხდომაზე ამორჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც დაევალა ტერმინოლოგიის შეგროვება, შეთანხმება და გამოქვეყნება. კრებამ დროც კი დაუნიშნა ორი თვე. ერთმა ახლად ამორჩეულმა კომისიის წევრმა საფუძვლიანად შეჰნიშნა, რომ ორი თვის განმავლობაში კომისია ამ მუშაობას ვერ დაამთავრებს, რადგანაც კომისიის წევრებს აქვთ თვისი პირდაპირი მოვალეობანი და მაშასადამე მთელ დროს ამას ვერ მოახმარებენო. აი სწორედ აქ არს მიზეზი, რომ კომისიის წევრები ისე ინტენსიურად ვერ მუშაობდნენ და ვერც იმუშავებენ. ბევრი მათგანი მსახურებს რომელიმე დაწესებულებაში და ან კიდევ ცხოვრობს კერძო პრაქტიკით. განა შეუძლიანთ ყველა ამას დაანებონ თავი ამ გაჭივრებულ ცხოვრებაში და მხოლოდ კომისიაში იმუშავონ? ექიმთა საზოგადოება კი ირჩევს კომისიის წევრებს, ავალებს მუშაობას, უნიშნავს დროს და იმ დროსვე არ შეუძლიან უზრუნველყოს მათი ყოველდღიური მოთხოვნილებანი. ზოგიერთი წევრნი დასავლეთ საქართველოდან არიან ამორჩეულნი. აქვთ მათ მატერიალური შეძლება, რომ ჩამოვიდნენ ტფილისში და ორი თვის განმავლობაში იმუშავონ? ამას უნდა მიაქციოს ყურადღება მთავრობამ. ეს საქმე სახელმწიფოებრივია და მან უნდა მისცეს შეძლება, რომ ტერმინოლოგიის საქმე ჩქარა დამთავრდეს. აი სწორედ ამისთვის არის საჭირო საექიმო დამოუკიდებელი უწყება. ეს უწყება იქმნება გულშემატკივარი საექიმო დარგისა. განათლების სამინისტრომ ზაფხულშივე დაარსა კურსები მასწავლებლობის მოსამზადებლად, შეუდგა კიდეც ქართულ ენაზე სასწავლებლებში სწავლას, ჩვენ კი კარზე გვადგა ერობა, მისი ნაციონალურ ნიადაგზე დაყენება და ამას ყველაფერს ჩვენ ვხვდებით ხელცარიელნი არა გვყავს პატრონი. თუ გვინდა ჩვენ უნივერსიტეტში ქართულ ენაზე დაიწყოს სწავლა, თუ გვსურს ნაციონალიზაცია საექიმო დაწესებულების, საჭირო არის შემდეგი ზომები:

1. გამოყოფა სასანიტარო განყოფილებისა თავისუფალ უწყებად.

2. კომისიის დაარსება ქართულ მცოდნე პირთაგან ტერმინოლოგიის შესამუშავებლად და წიგნების გადასათარგმნად.

3. უზრუნველყოფა კომისიის წევრებისა მატერიალურად და განთავისუფლება სხვა მოვალეობიდან.

4. გამოქვეყნება ბეჭდვითი საშუალებით ტერმინოლოგიისა მთავრობის ხარჯით.

5. გადადება თანხისა ქართველ ექიმთა ყრილობის მოსაწვევად ტერმინოლოგიის დასადასტურებლად.

თუ მთავრობამ ხელი არ შეუწყო ამ საქმეს, ჩვენ ტერმინოლოგია არ გვექნება და ჩავარდებით უხერხულ მდგომარეობაში.

ექ. ნ. მრევლიშვილი.

თელავის მაზრის ერობის ხმოსანთა პირველი ყრილობა.

მეორე დღეს ე. ი. ღვინობისთვის 14-ს დილის 11 საათზე საბჭოს თავმჯდომარე ბ. ჰუმბურიძე სხდომასა ხსნის და წინადადებას აძლევს შეუდგნენ გამგეობის არჩევას და დაასახელონ კანდიდატები.

ხმ. ლ. გოგიაშვილი სოც.-დემოკრატიის ფრაქციის სახელით ასახელებს კანდიდატებს: გამგეობის თავმჯდომარედ ლ. ვახვახიშვილს, მის ამხანაგად ნ რამიშვილს, წევრად ექიმ ალ. ხითაროვს.

ხმ. გ. ბურჭულაძე სოც.-ფედერალისტების ფრაქციის სახელით მოახსენებს საბჭოს, რომ ერთ გამგეობის წევრად ისინი ასახელებენ აგრონომ გ. რცხილაძეს, მხოლოდ სთხოვს მეორე მათი კანდიდატი საბჭოს შემდეგ კრებაზე იყოს არჩეული, რადგანაც ჯერ ფრაქციაში ვერ მოხდა შეთანხმება ამის შესახებ.

საბჭო იღებს ამ წინადადებას და დასახელებულ კანდიდატებს ირჩევს გამგეობაში.

ისმება საკითხი გამგეობის წევრების კანდიდატების არჩევნების შესახებ ზოგი სრულიად მეტად სცნობს ამას და მაგალითად მოჰყავს ქალაქის გამგეობები. ამ საკითხის გადაწყვეტა გადაიდო შემდეგ საბჭოს სხდომამდე.

სამანდატო კომისიის არსებობაც კამათს იწვევს და შემდეგ ხმის უმრავლესობით საბჭო საჭიროდ სცნობს მის არსებობას და ირჩევს ლ. გოგიაშვილს, ექ. გ. ავალიშვილს და ლ. კიმოთიძეს

საბჭოს ხმოსანთა შემდეგი ყრილობის მოწვევის დროს დანიშვნამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღეს ხმ. გ. ავალიშვილმა, ს. მაჭავარიანმა, ბ. შავგულიძემ, ილ. საყვარელიძემ, გამგ. თავ. ლ. ვახვახიშვილმა, გრ. ბურჭულაძემ, ლ. გოგიაშვილმა, ვ. პაატაშვილმა და ალ. მამულაშვილმა კამათის მოსპობის შემდეგ, საბჭო ხმის უმრავლესობით ადგენს. შემდეგი ხმოსანთა ყრილობა მოწვეულ იქმნას დეკემბრის 20-ს.

სესხის შესახებ ყველა თანახმაა, რომ აღებულ იქმნას სესხი, ურომლისოდაც ყოვლად შეუძლებელია მუშაობა და მის რაოდენობას საბჭო ერთხმადა საზღვრავს 200 ათას მანეთს.

შემდეგ საბჭო არკვევს რა და რა კომისიებია საჭირო ამორჩეულ იქმნას ხმოსნებისაგან, კრების საპატიო თავმჯდ. კ. ანდრონიკაშვილის აზრით რადგანაც ხმოსანთა უმრავლესობა სოფლებში სცხოვრობს და გაუძნელდებათ თელავში სიარული, ამიტომ ურჩევს აირჩიონ კომისიების თავმჯდომარეები, რომლებიც გამგეობასთან ერთად შეადგენენ კომისიებს.

საბჭო საჭიროდა სცნობს კომისიების დაარსებას და მის თავმჯდომარეებად ირჩევს:

საფინანსოსას ნ. ქაშაკაშვილს. სასკოლოსას—გრ. ბურჭულაძეს, საექიმო, სანიტარულ-საბეითლოსას—ექიმ გ. ავალიშვილს, სასურსათოსას თ. ჩანგაშვილს, გზების და წყალსადენისა—ლ. გოგიაშვილს, მეურნეობისას კ. სეხნიაშვილს, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებად: ბ. შავგულიძეს, გ ჯანდიერს, ნ. ქაშაკაშვილს, ალ. მამულაშვილს და გ. ლომიძეს.

დღიურ და საგზაო ხარჯების შესახებ, მცირე მსჯელობის შემდეგ საბჭომ გადასწყვიტა როგორც საბჭოს პრეზიდიუმის, ისე გამგეობის წევრთ და საბჭოს ხმოსნებს მიეცეთ დღიური დღეში: ტფილისში 50 მანეთი, ხოლო სოფლად და აგრეთვე სოფლიდან თელავში—30 მან., გზის ხარჯის გარდა რომელიც იმდენი მიეცემათ, რამდენიც დაუჯდებათ ხმ. გ. ავალიშვილი თელავში მცხოვრებ ხმოსნების სახელით აცხადებს, რომ ისინი ანთავი უფლებენ ერობას დღიურიდან.

ამით ამოიწურა დღიური წესრიგი, ყრილობის თავმჯდომარე ბ. ჰუმბურიძე მიჰმართავს ხმოსნებს სიტყვით, უმარტავს მათ მოვალეობას და მოღვაწეობას ერობაში და კრებასა ჰხურავს საღამოს 4 საათზე.

დავიწყებული.

ბ. რევაზ გაბაშვილის საპასუხოდ*)

ბ. რევაზ გაბაშვილო! პარლამენტში და აგრეთვე პრესაში თქვენ იკისრეთ ჩემი „ცუდი" მოქმედებების მხილება. თქვენ, რომელიც წევრი ხართ საქართველოს საკანონმდებლო უმაღლესი ორგანოსი თენეიშვილის სათამაშო იარაღად გადაიქეცით. თუ ეს ასე არ იყოს, მაშ რას ნიშნავს პარლამენტში იმ საბუთების გამოტანა, რომელთაც, როგორც საბუთებს, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმ პიროვნების გასამტყუნებლად, რომლის წინაშე ეს საბუთები მიგიმართავთ, პირიქით მის უდანაშაულობაზე ლაპარაკობს და რომ ეს ასე არის, ამას მე გაკვრით დავასაბუთებ და საჭირო დროს კი დეტალურად. თქვენ აღიარეთ რომ მე ვითომ სპირტის სპეკულიაციას ვეწეოდი, ჩემთვის კიდევაც ამოუჩენიათ იგი, როცა გამჩხრიკეს, და დაპერილიც ვყოფილვარ ამის თაობაზე. მე დარწმუნებული ვარ, თქვენ ასეთ უდიერს ცილისწამებას არ წარმოსთქვამდით, რომ ან იმ საბუთებს, რომელიც თენეიშვილმა წარმოგიდგინათ კარგად დაჰკვირებოდით. ეხლა დავიწყებ საბუთების ღირებულებას, მის შინაარსზე და მნიშვნელობაზე.

თქვენ აღიარეთ, რომ მე სპირტი აღმომიჩინეს. მართალია აღმოაჩინეს მაგრამ საქმე შემდეგში იყო, სადგურ რიონში გიორგი გამყრელიძემ ბ. თენეიშვილს მისი „კოოპერატივისთვის" ჩამოუტანა ღვინო და არაყი (როგორც შემდეგ გამოირკვა) ბ. თენეიშვილი ვერ მოურიგდა ფასებში და ღვინის პატრონმა, მოისურვა მისი გაგზავნა რკინის გზით სხვა ადგილზე და მე როგორც სადგურის უფროსმა მთხოვა გამეგზავნა. მე არ შემეძლო გაგზავნა, რადგან აქციზის მოწმობა არ ჰქონდა და წინადადება მივეცი მოწმობა მოეტანა, ხოლო ღვინო კი შევინახე ერთ თავისუფალ ოთახში სადგურზე, რაც თენეიშვილმა და სხვა მოსამსახურეებმაც იცოდნენ. პატრონი კი მოწმობის მოსატანად წავიდა და კიდევაც მოიტანა მოწმობა და ღვინო გაგზავნილი იქმნა დანიშნულებისამებრ. ხოლო სანამ პატრონი მოწმობას მოიტანდა თენეიშვილმა ძველი ანგარიშების გასასწორებლად ჩემთან და ღვინის პატრონზე ძვირათ დაფასებისათვის ჯავრის საყრელად გაუგზავნა დეპეშა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს და მესპეკულიანტობა დამწამა, თუმცა ყოველივე კარგად იცოდა. როგორც ამ საქმისათვის, ისე სხვებისათვის (თენეიშვილი მწამებდა კონტრ-რევოლიუციონერობას) დაინიშნა კომისსია, სადაც შედიოდნენ სამი წევრი რიონის ს დ. ორგანიზაციისა.(თენეიშვილი თავმჯდომარე იყო ამ ორგანისაციისა) თანახმად თენეიშვილის მთხოვნისა ამ კომისიამ მხოლოდ ბ. თენეიშვილის დასახელებულ მოწმეებს დაკითხა და ფარდა ახადა თენეიშვილის ჭორიკანობას და ის კიდეც სამსახურიდან დაითხოვეს, მე კი მართლად მიცვნეს. ბ. გაბაშვილო აი მოკლედ ყოველივე ის, რის შესახებ თქვენ საბუთები გაქვსთ, თუ მას ჩაუკვირდებით და ზერელე არ მოეკიდებით. თუ ეჭვდნობით გამოძიებას, იმან რაც მოგახსენეთ ის გამოარკვია და თუ თქვენთვის გამოძიება არას ნიშნავს, მაშინ თქვენ ახალი გამოძიება მოახდინეთ და მხოლოდ შემდეგ ილაპარაკეთ და მარტოდ დიდ ავტორიტეტიან თენეიშვილის განცხადება, სურვილებზე დაყრდნობა კი არა ერთჯერ წაგატეხინებთ ფეხს. და მისის წყალობით ცილის წამება და ჭორიკანის სახელის დამსახურებას ვერ ასცდებით. ჩემს ჩამოყენების მიზეზს თუ იკითხავთ არის მხოლოდ ის რომ ჩემი ძმა გზის უფროსია. მხოლოდ მისთვის მომაკლეს ერთი კლასი, რომ სადგური რიონი ჩემზე მეტ ნამსახურს აგენტს მისცენ, მიუხედავად იმისა, რომ ამიერ-კავკასიის გზაზე კარგ აგენტად ვითვლებოდი (თუმცა ჟანდარმების სიაში არა კეთილ საიმედო) და ჩემი ძმა რკინის გზაზე სამსახურში არც კი იყო, რომ მე გაცილებით რიონზე უდიდესი სადგური მეჭირა, სახელდობრ „სარაკამიში". აი სწორედ, რომ ბოროტ ენებს არ ელაპარაკათ, რომ ახალგაზდა შედარებით აგენტი (გზის უფროსის ძმაო) დასტოვეს უმაღლეს სადგურში და უმცირესში კი მაზედ უფროსებიო. მათ გამიცხადეს: არავითარი ბრალდება არ არის მიზეზი, არამედ ტაქტიკური მოსაზრებაა, რომ გზის უფროსი ჩემი ძმაა (ეს მინისტრმაც განაცხადა). მე სამსახურიდან გასვლა მინდოდა, მაგრამ მოძრაობის უფროსი ბ-ნი აბელაშვილი, რომელიც კარგად მიცნობს, როგორც კარგ აგენტს, არ დასთანხმდა და მთხოვა დარჩენა. აი მისი სიტყვები (თქვენისთანა აგ ნტები, რომ წავიდეს, მაშინ ჩვენც სამსახურს თავი უნდა დავანებოთო),

აი საბუთების მიხედვით მდგომარეობა, რომელიც სწორედ იქ წერია, სადაც თქვენ ჩემ ბრალდებას ეძებთ. თუ თქვენ თენეიშვილს უჯერით, რომელიც ჩემი ადგილის ხელში ჩაგდებას ცდილობდა დღიდან ჩემი რიონში დანიშვნისა სადგურის უფროსად, რომელიც ადგილობრივ რიონის მუშებში ჩემს წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდა, რომელიც როგორც თავმჯდომარე ორგანიზაციისაც კი უბნევდა გზა-კვალს, რათა მისთვის გამოეყენებია საჭიროების დროს პირადი საქმისათვის. როგორც თქვენგან საჯაროდ შეურაცხყოფილი მოქალაქე, მოვითხოვ თქვენგან წამოყენებული ბრალდებები პარლამენტში და პრესაში დამიმტკიცოთ არა ზერელე არა უბრალო განცხადებით, არამედ ისეთი საბუთებით, რაც უდავოა და მისაღები სერიოზული და სიმართლით დაინტერესებული მოქალაქესათვის და ლოღიკას არ ეწინააღმდეგება.

თქვენგან, როგორც მოქალაქედან, რომლის სიტყვა ქარს არ უნდა ჰგავდეს, მოვითხოვ ან უარყოთ ბრალდება, აღიაროთ შეცდომა ან და გამომყვეთ სამედიატორო სამართალში და იმ პირობებში, რომელსაც თქვენ სთვლით საჭიროდ სიმართლის აღსადგენად.

უკიდურეს შემთხვევაში მე პრესის საშუალებით გიწოდებთ შესაფერ სახელს.

წიფის სადგურის უფროსი: ბიკენტი კანდელაკი.

---

[*] დამოუკიდებელ მიზეზების გამო დაბეჭდვა დაგვიანდა. რედ.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

დაკარგე უვადო პასპორტი მიღებული ქუთაისის მდაბიოთა მართველობისაგან 1914 წ. 18/2 № 177 მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს: დიდუბე, ფოთის ქ. 17. დიმნიშვილს ალექსანდრეს. 2304

ლივიტანოსის დიპლომი

ვასწავლი ყოველგვარ ჭრა-კერვას როგორც ქალისას ისე კაცისას და ბავშვებისას. მრავალ ფეროვან ნაქარგს, „გლადი", ნარლვევი, და სხვა. ამასთანავე ვიღებ შეკვეთილებს: კაბებს, პალტოებს, თეთრეულს; კაცის ტანისამოსს: ჩერქეზულ, იმერულს და გურულს. ვასრულებ სინდისიერად და ხელმისაწდომ ფასად. გორის ქუჩა, № 18. 2278

ექიმი ბ. მ. მუხაძე იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—8 ს -დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1030

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ი. ი. ხერიშვილი. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დილ. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 34. 801

ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10 12 ს. და საღამოს 6 7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

ექიმი დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, სიფილისი და მის შედეგები, შეშხაპუნება 606—914. საღამოს 5—7 ს. მისამართი გორის ქუჩა № 6. დიდიბე ტელ. 104. 2040

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მელიქოვის ქ. № 11. 2245

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი მ. მ. მეჯრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ბლექი და გულისა. ახალ რენტგენ-ელექტრო-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით, თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი ხოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92 1340

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი ი. ძ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების [illegible] გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ბლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი.
მელიქოვის ქ. № 12. 1060

ექიმი მ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი ლ. ა. ხარაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87 ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეთის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის **ა. ლევენშტეინისა** მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭაჭებისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

კერძო სამკურნალო
ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.

გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ერლიხ) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იშხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 5, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2178

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის ეფთიაქის გვერდით. 903

ექიმ ნავახარდიანის კერძო ქირურგ. სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606" და „914" 11—12 ს.

ა. ა. ნავახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

[illegible] 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

მ. გ. [illegible]—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.

ლ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. ბენიამინოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ბ. გ. [illegible]—11—12 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი. 12—1 ს. შინაგანი

რჩევა-დარიგება 3 მან ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავახარდიანი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე"

ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 5 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.